

საქართველოს რკინიგზის მომსახურების მოწინავე გამოცდილება — ამიერკავკასიის გზის ყველა ვაგზალს!

საქართველოს რკინიგზის მომსახურების მოწინავე გამოცდილება — ამიერკავკასიის გზის ყველა ვაგზალს!

საქართველოს რკინიგზის მომსახურების მოწინავე გამოცდილება — ამიერკავკასიის გზის ყველა ვაგზალს!

ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის ა. ზიკაშვილის სიტყვიდან

1955 სამეურნეო წელი სამგზავრო სამსახურმა დაამთავრა ერთგვარი წარმატებებით ძირითად საზომების შესრულებაში. სადგურების ადგილობრივი შემოსავლის წლიური გეგმა შესრულებულია 110,3 პროცენტით, გეგმა მგზავრო-კილომეტრებში — 106,8 პროცენტით, გადაზიდვისაგან შემოსავლის გეგმა — 101 პროცენტით.



კურსკის ვაგზლის შეკვეთების ბიურო მოსკოვში. პირველ პლანზე — მოლარე ე. კოსარიშვილი შეკვეთას ღებულობს ბილეთებზე შინ მიტანით.

სოჭის ვაგზლის უფროსის ბ. სკლიაროვის სიტყვიდან

ზაფხულის თვეებში სალაროებთან ჩნდებოდა, ყველაზე მეტად საკმარისი ადგილებში. სახარბიელო მოწყობილი ბილეთები დაწყებული 1955 წლის მუშაობა არსებობდა. როგორ მივა-

საქართველოს რკინიგზის მომსახურების მოწინავე გამოცდილება — ამიერკავკასიის გზის ყველა ვაგზალს!

ზაფხულის თვეებში სალაროებთან ჩნდებოდა, ყველაზე მეტად საკმარისი ადგილებში. სახარბიელო მოწყობილი ბილეთები დაწყებული 1955 წლის მუშაობა არსებობდა. როგორ მივა-

ზაფხულის თვეებში სალაროებთან ჩნდებოდა, ყველაზე მეტად საკმარისი ადგილებში. სახარბიელო მოწყობილი ბილეთები დაწყებული 1955 წლის მუშაობა არსებობდა. როგორ მივა-

თვალსაჩინო მუშაობა იქნა გაწეული ახალი ვაგზლების მშენებლობის, ძველთა შეკეთებისა და კეთილმოწყობის საქმეში. საქსპლოატაციოდ გადაცემულია გრეხილ - ავეჯის ბაქანი და რამდენიმე გასაჩერებელი პუნქტი. ვაგზლებს მიეცა 750 ათასი მანეთის ავეჯი, მთელი რიგი ვაგზლები რადიოფიციურებულ იქნა.

1956 წელს მგზავროთა მასობრივი გადაზიდვისათვის მზადება ჩვენს ვაგზებზე ტარდება მგზავროების მომსახურების ყოველმხრივი გაუმჯობესების ნიშნით. გახამნიშვნელოვანი თანხები გაიღო ახალი ვაგზლების მშენებლობისა და არსებულთა კეთილმოწყობისათვის. მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში შევა გაგრის, რუსთავის, ერევნის ვაგზლები, კეთილმოწყობილი გასაჩერებელი პუნქტი 378 კილომეტრში. გრძელდება ვაგზლის მშენებლობა ახალ-ათონში და არსებული ვაგზლის რეკონსტრუქცია ხაშურში.

მთელ რიგ გასაჩერებელ პუნქტებში დაიწყო პავილიონებისა და ბაქნების მშენებლობა. მიმდინარეობს 65 ვაგზლის კაპიტალური რემონტი, რომელთა უმრავლესობა გარემონტებული იქნება 1 ივნისამდე. ვაგზლებს ეგზავნება ავეჯი და სხვადასხვა მოწყობილობა. შრომატევად სამუშაოთა შემსუბუქების მიზნით ხდება ვაგზლების აღჭურვა ტექნიკით: იატაკსარეცხი და გამწყობი მანქანებით, ტელესკოპური კომპიურებით.

ეწყობა ორმხრივი ბილეთების გაყიდვა მოსკოვის ვაგზლების სალაროებში თბილისამდე, ბათუმამდე, სოხუმამდე, წყალტუბომდე და უკან. საზაფხულო გრაფიკზე გადასვლის დღიდან მოეწყობა ორმხრივი ბილეთების გაყიდვა თბილისსა და ერევანში იმ მგზავროებისათვის, რომლებიც მოსკოვში მიემგზავრებიან.

მიმდინარეობს შორ მანძილზე მიმავალ მგზავროთა მარშრუტების შესწავლა იმ მიზნით, რომ მოეწყოს მათთვის პირდაპირი პლაკარტების გაცემა.

კურსკის ვაგზლის (მოსკოვი) უფროსის ვ. გორდინაოს სიტყვიდან

მოსკოვის კურსკის ვაგზლიდან ყოველდღიურად გადის მატარებელთა დიდი რაოდენობა საბჭოთა კავშირის სამხრეთ კურორტებისაკენ — შავი ზღვის კავკასიის და ყირიმის სანაპიროსაკენ, წყალტუბოში. მოაგარავე მგზავროთა დიდძალი რაოდენობის მომსახურება მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს ვაგზლის კოლექტივს. ჩვენი ამოცანებისათვის რომ თავი გაგვერთოთ, განვახორციელოთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

საბილეთო სალაროების დამატებითი მუშაობა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში მოითხოვდა მოლარეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას ხელი შეუწყო იმან, რომ ისინი გადაყვანილ იქნენ შრომის სანარდო ანაზღაურებაზე. ამ მიზნით ჩატარდა სამგზავრო საბუთების გაფორმების სათანადო კონსტრუქციის და დაწესდა ნორმები ბილეთების შინ მიტანის შეკვეთების მიღებაზე, სალაროში ბილეთების გაფორმებაზე.

ვაგზლის მუშაკები ხშირად სახლში ვერ ნახულობდნენ შემკვეთებს. ამან დაგვარწმუნა იმაში, რომ საჭირო იყო მოქალაქეთა სურვილისამებრ ბილეთები მიგვეტანა არა მარტო სახლში, არამედ მუშაობის ადგილზედაც. ამ სიახლის შესახებ ჩვენ ფართოდ გავაცანით მოსკოველებს, რის შემდეგ ბილეთების მნიშვნელოვანი ნაწილი მგზავროებისათვის მუშაობის ადგილზე მიგვაქვს.

კიდევ უფრო ძვირფასი გამოდგა სიახლე გამკვლელ მგზავროთა მომსახურებაში. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ არის შესაძლებლობა ვიხსნათ ასეთი მგზავროები ბილეთების შესამოწმებლად ჩვენი ვაგზლის სალაროებთან რიგებში დგომისაგან. გულდასმით შევისწავლეთ რა ჩვენს ვაგზალში გამკვლელ მგზავროთა ნაკადი, ჩვენ დავიწყეთ ჩასასხდომი ტალონების საჭირო რაოდენობის გადაგზავნა იმ მსხვილ ვაგზლებში, საიდანაც მოდიოდა ეს ნაკადი.

ახლა ჩვენ რეგულარულად ვგზავნი ტალონებს 25 ვაგზალში მოსკოვიდან მატარებლის გასვლამდე 20-30 დღით ადრე. ამრიგად, მგზავრო გამგზავრების სადგურში ღებულობს ჩასასხდომ ტალონს არა მარტო მოსკოვში

მიმავალ მატარებელზე, არამედ ტალონს იმ მატარებელზედაც, რომლითაც მას მოუხდება დედაქალაქიდან გამგზავრება სამხრეთისაკენ.

ამნიარად, ჩვენ გასული წლის მარტიდან მიმდინარე წლის იანვრამდე მოვემსახურეთ 44.551 მგზავროს.

სხვა ვაგზლებში ტალონების გადაგზავნას ვახორციელებთ მატარებელთა უფროსების შემწეობით.

გასული წლის ივნისიდან ჩვენ განახორციელებთ კიდევ ერთი, კარგი ღონისძიება — ბილეთებს ვყიდით მგზავროებზე ორივე მიმართულებით. ამ შემთხვევაში მგზავრო ჩვენგან ღებულობს ორ ჩასასხდომ ტალონს — დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად და იქიდან უკან დასაბრუნებლად. პირველ ხანებში ორივე მიმართულებით ბილეთების გაყიდვა მოეწყო სოჭის, კისლოვოდსკის, სიმფეროპოლის სადგურებამდე. ზაფხულის თვეებში ამ წესით მოვემსახურეთ ჩვენ 14 ათასზე მეტ კაცს. მიმდინარე წელს ახალი მეთოდი კიდევ უფრო ფართოდ დაინერგება. მას გავავრცელებთ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, წყალტუბოს, ერევნის სადგურებზე.

დღემდე ეს მეთოდი ასე ხორციელდებოდა: სადგურები ჩვენ გვიგზავნიან ჩასასხდომი ტალონების საჭირო რაოდენობას მთვანე გამოძახალ მატარებლებზე და ჩვენ ამ ტალონების თანახმად ვაფორმებთ უკან დასაბრუნებელ ბილეთებს. ახლა ვფიქრობთ საქმე უფრო გავამარტივოთ. ტალონები დამზადდება მოსკოვში, ხოლო სადგურებს ეცოდინებათ რა და რა ადგილები უნდა დაგვეშინონ ჩვენი მგზავროებისათვის.

კიდევ რა გვაქვს ჩვენ ახალი? ულახათო იყო ბარგზიდვების შეგუბუნებული შეხედულება, მათ არ ქონდათ ფორმის ტანსაცმელი. ასეთი ფორმა ჩვენ შემოვიღეთ. იგი ირიცხება ვაგზლის ინვენტარში და ეძლევა ბარგზიდვებს მხოლოდ მუშაობის დროს.

ახლა ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი ვაგზლის მატარა (ცნობარ-საგზურის) გამოცემაზე. ჩვენი მუშაკების დიდი ჯგუფი სწავლობს შრომის მოწინავე მეთოდების კურსებზე და პირველ მაისისათვის დაამთავრებს ამ კურსებს.



სოჭის ვაგზლის ბილეთების მოლარე ბ. ტიშოვი — სოჭის ვაგზლის უფროსის ბ. სკლიაროვის სიტყვიდან